

Handwritten text on aged, textured paper, possibly a manuscript or letter. The text is written in a cursive script and is partially obscured by a horizontal crease or fold across the middle. The visible text includes:

Handwritten text, possibly a date or name, at the top left.

1870

Handwritten text, possibly a name or address, in the middle right.

(1870) 12/24/70

Handwritten text, possibly a name or address, at the bottom right.

შეხვედბოდით სადმე და ისიც „წვრილ კაკალა სიმინდესაც ახლანდელი ჯიშის სიმინდის თესლი გამოიწერეს ადსიდან და გურიაში „ადესის“ სიმინდის ხმა გავარდა, დიდი და პატარა იმის მოყვანას შეუდგა და სიმინდის კულტურამ პურიც კი განდევნა. მაგრამ, როდესც გურია დარწმუნდა, რომ სიმინდის მოყვანა ახლანდელ პირობებში და ფასებში ხელსაყრელი არ არის, ისევე ჩქარა და მოუფიქრებელად სტოვებს სიმინდის დამუშავებას, როგორც ჩქარა მოჰკიდა ხელი მის მოყვანას. ამნაირივე ბედი ერგო შესანიშნავ ჩხავერის ღვინოს, რომლის ადგილიც ახალ-მოდის ადესისს უურყენმა და „ადესისის“ ღვინომ დაიკავა.

ამ ჟამად გურია ისეთ მდგომარეობაში არის, რომ ძველი შეურნეობის სიკოტრე და შეუფერებლობა შეიგნეს და ახალ შეურნეობის არც წესები და არც რაიმე ახალი დარგი შეთვისებულნი არა აქვთ.

ამ გაჭირვებულ დროს ჩვენი აგრონომების ვალია, მიაქცვიონ ხალხს ყურადღება რაიმე ახალ კულტურულ მცენარეების მოყვანაზე და დამუშავების შესაფერ წესებზე.

ამ მხრივ ჩაის მოყვანას აბრეშუმთან ერთად დიდი როლი შეუძლია ითამაშოს გურიის ცხოვრებაში. ამ მცენარის კულტურისათვის ნიადაგი მზად არის, მხოლოდ საჭირო იყო ტენიკური ცოდნა და სწორეთ დიდის მადლობის ღირსია ბ. ერ

ნ ა რ მ ვ ი

- 1) ქლექის წამლობა.—2) აუთიაქს და ექიმს ერიდეთ!—3) აკადემიების კონგრესი.—4) მცენარეთა მეორედ აყვავება.—5) ძვირფასი განძი.—6) ქალთა სამეფო.—7) ქალთა რიცხვი.—8) ქალთა მოქალაქებრივი უფლებანი ინგლისში.—9) ევროპიელ სახელმწიფოთა შეიარაღებული მშვიდობიანობა.—10) ლოთობა ინგლისში.—11) აშერიკული კონკურენცია.—12) ნოქტების საზოგადოება გერმანიაში.—13) არ გავცვლი სალსა კლდეებსა...—14) თაჯად-აზნაურობის სანუგეშოდ და სამწუხაროდ.—15) მომავლისათვის ზრუნვა.—16) ერთა შორის მშვიდობიანობის დამყარება.


ყარამანიანი კარი IX. სპარსულიდან ქართულად ნათარგმნი
სახლთხუცის და სარდღოს თავ. დავით ორბელიანისაგან. „სამამოთ-
სასმენელი“. გამოცემა მეორე დ. ლაზარევისა. ტფილისი გვ. 102.
ფ. 45 კ. დაიბ. 1200 ც.

აქ მოთხრობილია ყარამანის უკანასკნელი საგმირო ამბე-
ბი, მისი სიკვდილი და შემდეგ ქუჩუკის გამოხვლა. საგმირო
ასპარეზზედ. წიგნში ორი უხვირო სურათია მოქცეული.

ამ წიგნს ხალხში დიდი გასავალი აქვს და დიდს ინტე-
რესს იწვევს, როგორც საგმირო პოემა. შიგ გატარებული
აზრები აღუძვრენ მკითხველს საგმირო საქმეებისადმი დიდ ტრ-
ფობას და გამოიწვევენ მასში მალალ გრძნობებს. მამულის სი-
ყვარული, დაჩაგრული და სუსტის დაფარვა-გამოსარჩლება—
ძლიერებთან შებრძოლება, თავისი სიტყვის შენახვა, ძმო-
ბის მტკიცედ აღსრულება, ქალის სიპატიოსნის დაცვა და
მისი პიროვნების ამაღლება, აი რა აზრებით არის გამთბარი ეს
ნაწარმოები და ხალხიც ტყუილად არ ეტანება მას. ენა, თუმცა
შეიძლება გრამატიულის მხრივ, გვეჩვენოს უსწორ მასწოროდ,
მაგრამ მდიდარი არის თავის ფორმებით, სხვა-და-სხვა ტენი-
კური სიტყვებით და პლასტიკითაც.

ყარამანიანი ღირსია იმის, რომ ჩამოერთვას იმის გამოცემა
დავიც გამოცემლებს და რომელიმე სერიოზულმა პირმა, ან
საზოგადოებამ იკისროს მისი ერთად ყველა წიგნების გამო-
ცემა შესაფერის წინასიტყვაობით. ჩვენი ძველი მწერლობა
უნდა დაედვას საძირკვლად ახალი მწერლობის აყვავებას. ამ
მხრივ ყარამანიანი, როსტომიანი, მოურავიანი და სხვა ასეთი
ნაწარმოებები უფრო მეტის ყურადღების ღირსი არიან, ვინემ
დღეს ვხედავთ.

Handwritten notes in red and blue ink, including a signature and the date "1904 წ." (1904).



Handwritten text in a non-Latin script, possibly including the number '100' circled in purple ink.

42526120

1122 16 2022

(1122 16 2022)

1122 (16 2022)



ყაჩაყანიანი



მეოთხე გამოცემა საკუთარის რედაქციით
დ. ჯაფარიძის მიერ.

Handwritten notes in the top left corner, including the name 'ყაჩაყანი' and the number '1895'.

Handwritten notes on the left side, including the name 'მ. შიშკერიძე' and the year '1914'.

1228

ქარი პირველი

ყარამანისი

სპარსულიდამ ქართულად ნათარგმნი სახლთხუცის და
სარდლის თავ. დავით ორბელიანისაგან. „საამოთ
სასმენელი“.

1228



(გამოცემა მეოთხე)

Handwritten red ink notes and signatures, including the number '1875' and other illegible characters.

გამოცემული

დავით ლაზარევის-მიერ.

Handwritten red ink signature or stamp at the bottom right.

თბილისი

ელექ. მბეჭ. ს. ლოსაბერიძისა, მოსკ. ქ., საკ. სახ., № 5.

1912.

შინაარსი

მოკლე ბიოგრაფია, სახლთხუცისა და სარდლის თავი. დავით ორბელიანისა. — თახ-მურად ხელმწიფის ამბავი და მისი გარდაცვალება შვილის ნაღველზე. — გვარჯასპის გახელმწიფება. — გვარჯასპის გარდაცვალება და უშანგის გახელმწიფება. — უშანგ-შაჰისაგან ინდოეთის ხელმწიფისზედ გალაშქრვა და გზასა ზედან ყარამანის შეყრა. — ყათრანის და ყარამანის საუბარი, ომი ძლიერი და საშინელი. — ყარამანის და ყათრანის ერთად შეყრის ამბავი. — ყარამანის უშანგ-ხელმწიფის დამორჩილება და ხლება. — გარდანქეშანისაგან ბარამის გაქევეების ამბის თქმა ყარამანის წინაშე. — აზრაიდ მეთილისმის ამბის მბობა გარდანქეშანისაგან. — აზრაიდ მეთილისმის შეპყრობისა და ბარამ-ჯიბილის მორჩენის ამბის მბობა ყარამანის წინაშე. — უშანგ-შაჰისაგან ინდოთა ხელმწიფისზედ წასვლა, გზასა ზედან ექვს-ფეხოვანისა და ოთხ-თვალოვანის მხეცისაგან ფალეევანთა დახოცა და ყარამანისაგან მისი შეპყრობა. — ინდოთა ხელმწიფის რაჰინდისაგან უშანგ-შაჰის ლაშქრის ჭვრეტა. — გარდანქეშან გრძნეულისაგან ინდოთა აიარის შიქარგის შეპყრობა და უშანგ-ხელმწიფის განთავისუფლება. — დუვზდი-ავსარ გრძნეულისაგან რაჰინდთან თავიანთ ამბის მბობა. — ინდოელთა და ერანელთა ფალეევანთა ომი ძლიერი, ყარამანისაგან ინდოთა ფალევენის ქაბულ-ჰინდის სიკვდილი და სხვათა მრავალთა ფალეევანთა და ლაშქართა დახოცვა. — ყარამანის და ინდოთა ფალეევანთა და მეომართა სპილოთა ომი ძლიერი და ფიცხელი, ყარამანისაგან მრავალთა დახრცვა. — სარვიხურმანის მოსვლა თავის მამის შემწედ. — ომი ინდოთა მეფის ასულის სარვიხურმანისა და ყარამანისა. — სარვიხურმანის ამბავი მოიხსენიეთ. — სარვიხურმანისა, ერანელთა და თურანელთა ფალეევანთა და სარდალთა ომი ძლიერი და სარვიხურმანისაგან უშანგის მრავალთა ფალეევანთა შეპყრობა. — ყათრანის და სარვიხურმანის ომი ძლიერი და სარვიხურმანისაგან ყათრანის შეპყრობა. — სპანდიერ-ბარის მოსვლა ინდოთა ხელმწიფის შემწედ და მისგან ფიცხელი ომის გარდახდა. — ყარამანისა და გარდანქეშანისაგან ინდოთა ხელმწიფის მეჯლისისა მისვლა, ერანთა და თურანთა ფალეევანთა გამოხსნა და ყარამანისაგან მრავალთა ფალეევანთა და ლაშქართა დახოცვა. — სპანდიერ-ბარისაგან უშანგ-შაჰის ფალეევანთა დახოცვა და ყარამანისაგან მისი სიკვდილი. — უშანგ-შაჰისა და რაჰინდის შერიგება ყარამანის და სარვიხურმანის შუამავლობით. — გარდანქეშანისაგან ბედ-კეთილობის წალკოტის ამბის მბობა სარვიხურმანის წინაშე.

კირველი კარის სურათები.

1) ყარმანი.—2) ყარამანის და ყათრანის ერთიერთმანერთის გაცნობა.—3) ყარამანი ექვს-ფეხოვან და ოთხ-თვალოვან ზღვის მხეცს იჭერს.—4) ყარამანისა და სპანდიერ-ბარ ფალეენის ომი და ყარამანისაგან მისი სიკვდილი.

თავ. ღაკით ორბელიანი

1716—1796.

საკიროდ ვრაცხ, გავაცნო რამდენიმე სიტყვით, ჩვენი პატივცემული „ყარამანიანის“ მკითხველები—სახლთ-ხუცი და სარდალი თავ. ღაკით ორბელიანი, ამ „ყარამანის“ მთარგმნელი სპარსულიდამ ქართულ ენაზე.

მეჩვიდმეტე საუკუნის ნახევრიდამ, ქართულ ენაზე სახალხო მწერლობის დასაწყისმა, სრულიად ახალი მიმდინარეობა მიიღო. ჩვენ როგორც ვხედავთ ამ ხსენებულ საუკუნის ნახევრამდის ქართულს ენაზე სახალხო მოთხრობაები თურმე ძალიან მცირედ იწერებოდა, თუ სწერდნენ რასმეს, იმასაც იმ გვარ მოხუხუხოს და დამაუძღურებულის შინაარსით, როგორც ამ უამად იპოვება პლექსიანი, აბრამიანი, შალ-ვაჟიანი და მრავალი სხვანი. ამ საუკუნის ნახევრიდამ კი, ქართულს ენაზე, სრულიად სხვა ნაირმა წიგნებმა იჩინეს თავი, ეს სხვა ნაირი წიგნები არიან, სპარსულიდ ნათარგმნი ზღაპარ-სიტყვაობის მინაგვარი მოთხრობაუბი, რომელშიაც აწერილია სხვა და სხვა გმირთა და ფალეფანთა მოღვაწეობა და გულოვნობა, თავიანთ ქვეყნის პატრონობა უცხოელთ მონობისაგან, სხვა და სხვა თემთა და ქვეყანათა დახსნა და მშვიდობიანათ ცხოვრება. მთელი სპარსეთის სახალხო ზღაპრულის რომან-მოთხრობაების შინაარსი სულ ამისთანაებს შეიცავენ, ყველგან და ყოველთვის, აქ, ან ქალის სიყვარულის გამო ბრძოლას წაიკითხავთ და ან სხვა რომელიმე მხრის მოწაობის გამო ატეხილ ომებსა.

ქართველებმა ამისთანა ნაწერების მნიშვნელობა ერთობ ადრე შეიტყეს, და ამიტომაც მიჰყვეს ხელი სპარსულით თარგმნა სხვა და სხვა გმირობისა და ფალეფანობის რომან-მოთხრობაების ქართულს ენაზედ. ამ თარგმნის მიზანი ის იყო, რომ მით აღედრად გმირული

მიმართულება ხალხთა-შორის. ამისთანა წიგნებს ქართველების მდგომარეობა აუცილებელ საჭიროებად მოითხოვდა, რადგანაც საქართველოს ერს, ერთობ დღე და ღამ განუწყვეტლივ ბრძოლა ჰქონიათ, როგორც სპარსებთან, აგრეთვე ოსმალებთან, ლეკებთან და სხვებთან. რა იყო ამ ბრძოლის დროს მათთვის უმთავრესი საჭიროება? რასაკვირველია გმირობა! გმირობა და ამ გმირობისათვის იგინი არამც თუ მარტო ხლმით იბრძოდნენ, არამედ მწიგნობრობითაც კი ამხნევებდნენ ერს.

ერთი ამისთანა მწიგნობარ პირად ჩათვლება, თავადი ლავით ორბელიანიც, რომელსაც სპარსულის ენიდამ უთარგმნია მთელი „შარამნიანის“ წიგნი, რომელიც შეადგენს თექვსმეტ კარს (ესე იგი თექვსმეტ ნაწილს), დიდის ღვაწლით და შრომით, მშვენიერ ქართულს ენაზე.

განსვენებული ლავით ორბელიანი, „საქართველოს ისტორიაში“ გამოჩენილ პირათ ირიცხება. ეს განსვენებული ლავითი, ორბელიანთ ოჯახს ეკუთვნის, თურმე ძლიერ დახლოებული ყოფილა ქართველ ბატონიშვილებთან, და თანამედროვე პირიცა, ერეკლე მეორისა.

პატარობისას ლავითმა მიიღო სწავლა ტფილისის საკათალიკოზო სკოლაში, ამაზე საკმარისი გავლენა ჰქონია იმ ძალას, რომ იმ დროს, ორბელიანთ გვარში მთელი გუნდი მოღვაწეობდა ქართულის მწერლობისათვის. ლავითმა შეისწავლა ქართული წერა-კითხვა, მწიგნობრობა, სპარსული, სომხური და სხვანი. რამდენჯერმე ეს სპარსეთშიაც იქმნა წარსული, სამეფო სხვა და სხვა საქმეების გამო. სპარსეთში ყოფნის დროს, იმან საკმაოდ შეისწავლა სპარსული ენა და მწერლობა, იმას იქ ყოფნის დროს დაუწყევია „შარამანიანის“ კითხვა და ეს წიგნი მას ისე მოსწონებია რომ, როცა საქართველოში დაბრუნებულა, „შარამანიანის“ ერთი ხელთ-ნაწერი თან წამოუღია და საქართველოში ყოფნის დროს მის თარგმნაც დაუწყევია, ორბელიანს ჯერ სრულიად ნათარგმნი არც კი ჰქონია რომ, მის შინაარსის ცნობები მთელს ერში მოჰფენილა და ყველა თურმე დიდის სურვილით ისმენდა ამ წიგნის გმირებთ მოთხრობას. „შარამანიანის“ ხელთ ნაწერი წიგნი თურმე დღე და ღამ ხმარებაში ყოფილა, ასე რომ არ ყოფილიყოს, მაშინ ყოვლად შეუძლებელი იქმნებოდა ამ „შარამანიანის“, ამ ორ საუკუნის განმავლობაში ასე გავრცელებულიყოს ჩვენს ხალხში.

ზანსვენებული ღავით ორბელიანი იქამდის გამოჩენილი და შესანიშნავი პირი ყოფილა საქართველოში რომ, ამ გამოჩენილ მხედართ-მთავარს; თვით მეფე მრეკლევ დაენათესავა. მრეკლე მეფემ ღავით ორბელიანს მიათხოვა თავისი ქალი თამარი. სახლთ-ხუცობა ღავითს ამ დანათესაობის შემდეგ მიუღია. მრეკლესთან ასეთ დაახლოვების შემდეგ, ღავითი სარდლობაში უფრო განცხოველებულა, როგორც მეფის სიყვარულით, აგრეთვე თავის ერთგულობით.

მრეკლე მეფეს ისე ომი არ შემთხვევია რომ, ღავით სარდალს მონაწილეობა არ მიეღოს ომში და არ დასწრებოდეს, და პირველი ადგილიც დაუჭერია. ღავითს ბევრს ომში გამოუჩენია თავი და თავისი მხედრული ნიჭი და ერთგულება. მრეკლე მეფესაც ძლიერ მიღებული ჰყოლია თურმე, არც ერთი სამეფო საქმე არ გადასწყდებოდა და არ გაკეთდებოდა, უდავით სარდლოთ, ყველა სამეფო საქმეებში მონაწილეობა მიუღია.

ღავით ორბელიანი უმეტეს ნაწილს სომხეთში სცხოვრებდა რადგანაც სომხეთში იყო დანიშნული სარდლოთ. ღავითმა სომხეთშიაც კი დაამშვენა არე-მარე, სოფლებს გაუმაგრა ციხეები, კოშკები, გალავნები, ეკლესიები და სხვანი. სოფლებს დაუყენა მცველები, რადგანაც იმ ჟამად, მტერთაგან ამ მხრებში სოფლებზე ხშირად იყო თავ-დაცემა.

მოკლედ რომ მოგახსენოთ, განსვენებულის პლატონ იოსელიანის სიტყვით, ღავით ორბელიანს აღუშენებია და გაუმაგრებია გაოხრებული სომხეთიც კი.

უკანასკნელ ალა-მაჰმად-ხანის დროს ომში 1795 წელს ესეც კი დასწრებია და მძლავრათაც უომნია, მაგრამ ქართველებს იმ ჟამად საქმე ერთობ გასჭირებიათ და დამარცხებულან. ამ გვარ უბედურმა შემთხვევამ ღავით ორბელიანზე ცუდათ იმოქმედა, ავად გახდა ღავითი და ერთი წლის შემდეგ ე. ი. 1796 წ. თავის სამშობლო ქვეყნას გამოესალმა სამუდამოდ. ამის სიკვდილით დიდი დანაკლისი მისცემია, საქართველოს სამეფო მმართველობას.

„შარამანიანის“ გარდა, ღავით ორბელიანს სხვაც რამე დაუწერია თუ არა, ამისი ჩვენ არაფერი ვიცით და არც არაფერი სჩანს თარგმნილი „შარამანიანის“ გარდა, ლექსები კი უწერია, რომლის რამდენიმე ლექსმა ჩვენ დრომდისაც მოაღწია.

ღავით ორბელიანის ნათარგმნმა საამოთ სასმენელმა „შარამანიანმა“ საქართველოში იქამდის მიაღწია და გავრცელდა, რომ ჩვენ

IV

საჭიროდ დაეინახეთ ცალკე წიგნაკებად გამოგვეცა; რადგანაც „შარამანიანის“ ერთიანად დაბეჭდვას დიდი შრომა და ხარჯი უნდებოდა. ამიტომ ნაწილ-ნაწილად დავიწყეთ ბეჭდვა. რომ მყიდველთ გაუადვილდეთ, მთელი წიგნის შეძენა, ესე იგი თექვსმეტი კარის (წიგნაკისა).

დ. ლ ა შ ა რ ე ვ ი.

გაზაძის ბიძა



კ ა რ ი ზ ი რ გ ე ლ ი

ყ ა რ ა მ ა ნ ი ა ნ ი

სწარსულიდამ ქართულად ნათარგმნი სახლთ-სუცის და სარდლის თავადი დაუით ორბელიანისაგან საამოთ სას-
ქენელი.

3ირველ ჟამად სწარსეთს შინა იყო ხელმწიფე დიდი, რომელსაც სახელად ეწოდა თახ-მურად, ესე იყო მარტოხელი და ამაღლებული ე-
გელსა სწარსეთს ზედა. ჟამს ამის მეფობისს ქაჯთა და დევთაგან კაც-
თა ნათესავთა მრავალი ზიანი ეცემოდა; თახ-მურად ხელმწიფემ ესე ე-
გელივე შეიტყო და არა მცირე მწუხარებას მიეცა. მასვე ქვეყანას განშ-
რებული ვინმე იყო, რომელსაც სახელად მაჭლაილ ეწოდა.

მაშინვე თახ-მურად ხელმწიფე მაჭლაილთან მივიდა და ქაჯთა და
დევთაგან კაცთა ზიანობა გამოუცხადა. ამა მაჭლაილ განშორებულს ენა-
წინასწარმეტყველისგან ქაჯთა და დევთა შეპყრობის ღოცვა ესწავლა და
იმანაც თახ-მურად ხელმწიფეს ასწავლა. შემდეგ ამის კაცთა ნათესაობა მრ-
ვალ ზიანს აძლეგდნენ ქაჯთა და დევთა. ქაჯნი და დევნი შეიყარნენ თავიანთ
მეფესთან და ესე თავიანთ ზიანი გამოუცხადეს. მან ხელმწიფემან დი-
დათ და საზარელად სულთქმა დვიპლთაგან აღმოახდინა და უბრძანა: ზეი!
ქაჯნო და დევნო, თქვენ არ იცით თუ მე კაცთა ნათესავთაგან რამდენი
ჭირი მინახავს და რამდენი ვნება გარდამხედია! თქვენ კაცთა ნათესავთა
ცხლათ ვერას ავნებთ, უნდა სხვა რამ გრძნებით რასმეს ეცადოთ.

ქაჯთა და დევთა მოახსენეს: აწ რასაც თქვენ გვიბრძანებთ, ჩვენ
სამსახურზედ მზათა ვართო.

მაშინ ქაჯთა მეფემ უხასუხა: „თქვენი უმთავრესი მტერი, ერთი თახ-მურად ხელმწიფე არის და მეორე მაჭლად განშორებული, მის განშორებულის სიხლადვეს მისვლა თქვენ არ ძალ გიძსთ, ამისთვის რამ იგი უოველთვის ლცვად განმზადებულია და მარადის ანგელოზნი მისად მცველად იმყოფებიან და არადეს არ განშორდებიან. აწ თქვენი გრძნეულება უნდა მოიხმარეთ თახ-მურად ხელმწიფეზედ, იმაზედ უნდა მიხვიდეთ და უთუოდ იმას ავებთ რასმეს. ამისთვის რამ იგი ხელმწიფე, უოველთვის ლხინსა და განცხრომასა შინა იმყოფება, მას ზედან ჟამი იკდეთ რამ მაგიერი მიუგოთო“.

ქაჯნი და ღვენი მსწრაფლ თახ-მურად ხელმწიფის საფებლად განემზადნენ, ზოგნი ჭაერთ და ზოგნი ხმელეთით გაემართნენ, მარადის ჟამის დაცემას ცდილობდნენ; მაგრამ გაუჭირდათ რა ვერ დაიცვენ ჟამი.

იმ ჟამად თახ-მურად ხელმწიფეს ერთი ძე ესვა სამის წლისა, რომელსაც სახელად უარამან ერქვა. მშენებით მისი მკზავსი არავინ შობილიყო, მეომრობა და ფალეგნობა მაშინვე ეტყობოდა. ამავე ხელმწიფეს ერთი ძმა ჭყვანდა ისეთი ფალეგანი, რომ იმისი ნახვა მტერთათვის საზარად კმა იყო, სახელად გვარჯასპს უხმობდნენ, შვიდ-თავიანი ვეშაპი მრისხანების დროს წინ ვერ დაუდგებოდა. ამ გვარჯასპსაც ერთი ძე ჭყვანდა, სახელად უათრანს უხმობდნენ. იმ ჟამად უათრანი შვიდის წლისა იყო. დღეს ერთსა უარამანი და უათრანი ორნივე ბიძაშვილნი, ჟმარწვილეურის წესით ერთ წალკატში თამაშობდნენ, მათი ზეგარდამო განგება ესე იყო — ღვეებმა დრო დაიცეს და მათ ურმათა ზედა სამტეროდ დაეცნენ, ვინაიდან უათრან უფროსი იყო, იმას ვერ შეჭბედეს და უარამანი ღვეებმა ჭაერში ადიტაცეს და წაიყვანეს.

ეს ამბავი თახ-მურად ხელმწიფეს მოხსენდა, უოველსა მხარეს ძე თვისი სძებნა, მაგრამ ამბავი ვერა სცნარა. თახ-მურად ხელმწიფე ამ შვილის მწუნარებაზედ დასწეულდა და ამიერ სოფლით გარდაიცვალა.

აქ გვარჯასპის განხელმწიფება.

რა ესე სოფელმან თვისი მუხთლად ქცევა მოიხმარა თახ-მურად ხელმწიფეზედ და შვილის მწუნარებით გარდაიცვალა. იკლავდა უოველი სამეფო სპარსეთისა და სტიროდა უოველი ერი. რა გლოვისაგან მოიცაჯეს, დიდებულნი შეიყარნენ და ხელმწიფედ გვარჯასპი დასვეს და განაგებდა უოველსა სპარსეთსა. იმ ჟამათ რადესაც უარამანი ღვეებმა

ადიტაცეს და უაფის მთის კალთაში, ჭეიათის მინდორზედ მიიყვანეს, სიდაც მათი სამყოფი იყო, — და მათ ზრდა დაუწვეს. დევთა განზრახვა ეს იყო: ვინაიდგან უარამანს ფაღვენობის სხე ეტეობოდა, თავიანთ წესზედ უნდა აღეზარდათ და იმის შემწეობით, კაცთა ნათესავთა ზედა შური ეძიათ. რაოდენმა ხანმა განვლო. რა უარამანი ცამეტი წლისა შეიქმნა მათ შიგან დიდათ სხელთვან ფაღვესად გამიხნდა. რა თექვსმეტის წლისა შეიქმნა, მართლად რომ გამიხენილ ფაღვესათ შეირიცხებოდა, ასეთი სხე იქანია, რომ მისნი წინააღმდეგნი მისს ჭვრეტას ვერ გაუძლეებდნენ. წერილი ესრედ იტყვის: „ამის გვარში ამისთანა არავინ დაბადებულაო“. უარამანი განრისხებულ ჟამს, რომელ დევსაც ხელს მოჰკრავდა, ერთს ადაჯზე გასტყუარცნიდა. რაოდენსამე ჟამს ამ დევებში დარჩა. დღეს ერთს ორმოცდა შვიდი ზღვის ხარი მოკლა, ტყაგები გახდა და სიგდებელი ქამანდი დასწნა; იგი ხარები ერთი მერეზედ გარდაბა, აიღებდა და მიწას ზედა დასცემდა. იმ ქამანდს წელში გამოიბამდა, ორმოცნი დევნი გასწევდნენ, მაგრამ ადგილიდამაც ვერ დასძრავდნენ. ამა დევთა შინა უოფის და შეჭირვება ბევრი მოითმინა უარამანმა. დევები ბევრს ეცადნენ რომ უარამანი თავიანთ ქცევასზედ მოეყვანათ, მაგრამ ვერა გაწვესრა. რა უარამანმა ნახა რომ ამ დევთა ქცეულება ბილწი იყო, თვისი საქმე და მათი ვინაობა გამოიკითხა. ესრედ უთხრა: „სწორეთ მოთხარით, თქვენს სამყოფში და ხელში მე რაგორ ჩამოვარდი? მე თქვენ არა გგვართ და თქვენს სამყოფში რათა ვარო?... რაგორც იყო გამოიკითხა თავის საქმე და შეიტყო, რომ კაცთანათესავი იყო თვითონ და არა დევთა. რომელთაც მოზარვით მოეყვანათ. უარამანმა რაოდესაც ესე შეიტყო, დევებს უმეტესი სასჯელი მოუძატა. ამისგან შეწუხებულთა დევთა უარამანი მძინარე ჭვარში ადიყვანეს თავის სამამაცო იარაღით შეკაზმული, წაიყვანეს თვისსავე ქვეუნი მხარეს ერთს მთაზედ გაუშვეს. ერთი შუბიც გვერდით დაუდეს და დევნი ეგრეთვე უკან მიიქცნენ. უარამანს ჯერეთ კაცის სხე არ ენახა და მხეტთაებრ მთასა ზედა დავიდოდა, მხეტთა თანა შეექცეოდა და მისი სამყოფი იგი ადგილი იყო.

აქ გვარჯასანის გარდაცვალება და უშანგის განხელმწიფება.

0 მ ჟამათ სოფელმან თვისი მუხთლად ქცეულობა გვარჯასანზედაც იხმარა და ხელმწიფე გვარჯასანზედ ამიერ სოფლით გარდაიცვალა. დემტი-იფიანდის ხელმწიფე მუჰლეჰქილან-შაჰას შვილი, ერან-თუთანის ხელმწი-

ფე უმანგო, სპარსეთში გახელმწიფდა. ამა უმანგ-ხელმწიფემან შვიდი იუღიმი (ე. ი. შვიდი სამეფო), ხელმით დაიპყრო და სპარსთა სამეფოსაც დაეპატრონა. შვიდის იუღიმის შვიდნივე მეფენი ამისგან გაქცეულნი ინდოეთის ხელმწიფე რაჭინდთან მივიდნენ და უმანგ-შაჰისგან თავიანთზე მძლავრობა და ქვეყნების წართმევა შესჩივლეს. ამ შვიდთავე მეფეთ უნდოდათ რომ, ინდოეთის ხელმწიფე რაჭინდი უმანგზედ საბრძოლველად მოეყვანათ და მისის შემწეობით თავიანთივე სამეფონი დაეპყრათ. რაჭინდმა იმათის გულისთვის ბრძანება გასცა და წარსასვლელად თავადრიგი იწვეს. ორმოცჯერ ასი ათასი მეომარი ლაშქარი მოიწვია, ცი-და-ათი-ათასი მეომარი სპილეთი შეჭყარა და უმანგზედ საომრად წამოვიდა.

რა უმანგს ესე ამბავი მოხსენდა, რომ მისგან გაქცეულნი მეფენი ჰინდთა ხელმწიფესთან მისულან შეხვეწნიან, იგი ხელმწიფე რაჭინდ შემწედ მოჰყავთ და დიდს ლაშქრით მოვლენო. ამ ამბვის მსმენელმა უმანგმა სთქვა: „ჩემი სწადელი ეს იყო რომ ჰინდთა ზედა წავსულები და აწ ესე ამბავი ჩემთვის კეთილი მიზეზია წასვლისათ. მასვე წამსა ბრძანა, ჩვიდმეტო ასი ათასი მეომარი ლაშქარი შეიყარა და ინდოეთის მხრისაკენ გამგზავრდა“. ესე ამბავი ინდოეთის ხელმწიფესაც მოხსენდა ვითარ უმანგ-შაჰი ჩვიდმეტო ასი ათასის მეომრით წამოვიდაო. რა იმ შვიდ მეფეთ ესე ამბავი ესმათ, დიდსა მწუხარებას მიეცნენ. ამ ამბვის მსმენელმა რაჭინდ-ხელმწიფემ ხელნი შეიტუეზა, სიცილი დაიწყო და სთქვა: „სჩანს რომ უმანგ-შაჰის ადსასრული მოახლოებულა და სიცოცხლის მისი ფიასა ადვსებულათ, თორემ იმისთანა მტირე ლაშქრით ჩემებრ დიდ ხელმწიფეზე საომრად ვითარ მოვაო? ეს ჩვენთვის კეთილი იქმნა რომ, ჩვენი გზა შემოკლდა და ჩვენს სიახლოვეს მოვაო“. საცა ეს ამბავი მოხსენდა, თვისი ლაშქარი იმავე ადგილს დაუენა.

აქ უმანგ-შაჰისგან ინდოეთის ხელმწიფეზე გალაშქვრა და გზასა ზედა ყარამანის შეურა.


სქეთ მხარეს უმანგმა სამის წლის საზრდო მოამზადებინა და ინდოეთისაკენ გაემართა. ლაშქრის სიდიდითა ნელად დაიარებოდა. ამ სიარულით იქ მიაღწიეს, სადაც ყარამანი დევთა გაეშვათ, რომელ მთასაც ამჟამათაც „ყარამან-დაღს“ უწოდებენ. ყარამანს ვინაიდგან ჯერეთ კაცი თვალთ არ ენახა, ველად და მთაში მარტოდ დაიარებოდა. მას დღესა ერთი ხადირი შეეყარა და იმას დევნა დაუწყო. იმ ხადირის დევნაში ერთს

მადლ მთის წვერზე ავიდა, ოთხსავე მხარეს ეურება დაიწყო და ნახა რომ, ერთის მთის ძირზე ცოტადღენი ლაშქარი მოდიოდა, რა ცოტად ძირს ჩამოვიდა ნახა რომ, ცოტა ლაშქარი კი არ იყო, ერთი ზღვის-ოდენი ლაშქარი იყო და მინდორი სრულიად ლაშქარით ადვსილიყო და მათი ფეხის ხმა ერთს ალაჯს ისმოდა. მრავალი დროშები გაეშალათ და იმ დროშებთან გმირები და ფალავნები იდგნენ, ისეთნი რომ თითო-თითოდ სიმაღლით დროშებს მისწვდებოდნენ, და მათის სხილოთა და მარტო-რქების დრიაღს ქვეყანა შეძრწუნებინა. როდესაც უარამანმა ესრეთი ლაშქართა განწყობილება ნახა. ძლიერ მოეწონა და მცირე ხანს მათ მომავლობას უჭვრეტდა, ნახა რომ თორმეტი დასტა ერთს ვიწრო გზაზედ მოვიდოდნენ, ორმოც ათას მარტორქებზედ მისდომნი. ფალავანნი დროშებ გაშლილნი მოწინავედ მოდიოდნენ. ამ დროშებთან ერთი ფალავანი მოვიდა უფითელ მარტორქაზედ მჯდარი. რომელიც დიდსა მთასა ემზგავსებოდა, სამოცი მწერთა სიმაღლე ჰქონდა. თავი თავსა ეხურა და სამამაცოდ შეკაზმული იყო, ერთ სხვა მარტორქას მის საჭურველი იარაღი ეკიდა, და ახოვნებით სხვათა ფალავანთა წინ მოუძლოდა, და მათ უკან ჯარი მოზდევდა და ამ წესით მოვიდოდნენ. რა უარამანმა ამ ლაშქრის ესრეთი განწყობილება იხილა, სთქვა: ახლოს მივალ და ამ ლაშქარს კარგა გავშინჯავო. მთილამ ძირს ჩამოვიდა და იმ ვიწრო გზის სიახლოვეს მივიდა. შუბს დაეხინა და ლაშქარს ჰვრეტა დაუწყო. ამ ლაშქართაგან ორმოცმა ცხენოსანმა ცხენები გაქუსლეს და იმ ვიწრო გზის სიახლოვეს მივიდნენ. რა ამ ცხენოსანთა შეხედეს ნახეს რომ, გზის სიახლოვეს ერთი ახლად მოწითებული ჭბუკო ვინმე სდგას, ისეთი რომ მთას ემგზავსება, ორმოცდა ხუთი მწერთა სიმაღლე აქვს, ერთ შუბზედ დაჭუდებია და მრისხანის თვალით ლაშქარს უჭვრეტს. ამ ცხენოსანთაგანი ერთი წინ მივიდა, უარამანს მიუხლოვდა და უთხრა: „სქი! კაცო, შენ ვინა ხარ! რომ ესოდენთა ლაშქართა წინ უდგენარ და გზა შეგიკრავსო? ან სირცხვილი არა გაქს და ან არ გეშინიანო?... რა უარამანმა ესე სიტყვები მოისმინა, განრისხებულმა შემოხედა. რა იმ კაცმა მისი განრისხება ნახა, ესრედ შეშინდა რომ, სიკვდილად მიიწურვა— და მსწრაფელ უკუ მოიქცა. უარამანმა საშინელის ხმით შემოხდას და უთხრა: «ეგრე ამაყათ საუბარი და ეგრე მსწრაფელ გარე შექცევა ვითარა წესია? აწ სად წახვალ ხელთა ჩემთაგანა? შენ გენება ჩემი გზილამ ჩამოყენება! მომიცადე და გიჩვენებ ჩემი გზილამ ჩამოყენება ვითარ იქნებაო!» რა ესე სთქვა მას კაცს მსწრაფელ წამოეწია, სარტყელსა ხელი მიჭყო, ცხენილამ აკლიჯა, აიუვანა თავს შემოივლო და მიწასა ზედ ისე

დასცა რომ, ძვალი ხორცთაგან აღარ გამოირჩეოდა. რა მათ ლაშქართა
ყარამანის ესეთი სიმინე ნახეს, ერთობით შემოუტოეს. რა ყარამანმა
მათ ლაშქართაგან სამტრედიდ შემოტყვევა იხილა, მარჯვენა ხელი მარ-
ცხენა გვერდსა შემოიხვია, მარცხენა ხელი მარჯვენა გვერდსა და ერთი
ისრედ შესძახა მადლის ხმით რომ, ოთხსაგ მხარეს ოთხს აღაჯზედ
მისი ხმა გაიგონებოდა, ამ ხმის მსმენელნი იმ ლაშქართაგანნი, ზოგნი
უსულო იქმნენ, ზოგთ ცნობა დაეფანტათ, ზოგთა ეგონათ იმ მთების
დაგლეჯა და ერთმანერთს ეცნენო. მის ხმის შიშით წინა ლაშქარი უკან
შეიქცა და უკანა წინა. ერთმან მოლაშქრეთაგანმა ყარამანს დაუძახა: ჭეი!
ფალევეანო, ეგ ძალი რომელი შენა გაქვს, თუ შენ უშანგ ხელმწიფეს-
თან მოხვალ, დიდს ზატის მიდებო, თორემ ყათრან ფალევეანი, ბარამ-
ჯიბილი და გარდანქემანი, რომელნი ამას ახლავან, თუ ნებითა შენითა
არ მოხვალ, იგინი ძალათ მოგიფეანენ და თავსა თვისსა გაცნობებენო.
რა ყარამანმა ესე მოისმინა, ესრედ უხასუხა: „ჭეი! სწულაო, ჩემი მე-
მარი ვეშაში უნდა იყოს, თვარემ ყათრან, ბარამ-ჯიბილი და გარდანქემან
რასა ჭკვიანო! ანუ უშანგ ხელმწიფე ვინ არისო? რა ესე სიტყვა დას-
რულა, მაშინვე ამს ხელი მიჭყო. რა განრისხებულმან ოთხმოც ათასს
მარტორქაზედ მსხდომთ ფალევეანთა შემოუტოვა, იგინი ერთი მეორეს
ეცნენ, მსწრაფელ გაიქცნენ და ყარამან უკან მისდევდა. იგი წინა დრო-
შასთან მომავალი სამოცის მწერთის სიმადლის მქონებელი ფალევეანი-
ჯიბილი-გაბარის სულთნის შვილის-შვილი იყო, სახელად ბარამ-ჯიბილი
ეწოდა. რა ბარამ-ჯიბილმა შემოხვდა, ნახა რომ ერთ უცნობ ფალევეან
ვისმეს ოთხმოცი ათასი ფალევეანი წინ წამოუერთა და ვითარ შავარდენ-
ს მტრედის გუნდი ეგრეთ ხოცვით მოსდევს, მცირე ხანს დადგა
და მისსა ამს უჭვრიტა. რომელსა კაცსა ყარამანი ცხენთაგან აიფანდა
და მიწასა ზედა დასცემდა, იგი მიწასთან კასწორდებოდა, რომელსაც
კაცსა თავსა ხმაღსა სცემდა კაცსა და ცხენსა შუა გაჭკვეოდა, რომელსაც
ერთს მეორეს შემოსტყუარცნიდა, ორნივე უსულო იქნებოდენ. რა ბა-
რამმა მისი უსრეთი სიმინე ნახა, დიდათ მოეწონა და სთქვა, ეს ემარ-
წვილი კაცი კარგ ვისმეს ჭკავსო. ბარამმა მასვე წამს თვისი იარაღი
მოითხროვა, საომრად შეიკაზმა, ჭკრა მარტორქას ქუსლი, ყარამანს მი-
უხტა და თავსა ლახტი დაჭკრა, ყარამანს ჯერეთ ლახტი არავისგან სცე-
მოდა და მისგან დიდათ ეუცნოვა. მაშინ ყარამანმა თვისი ლახტი თავსა
შემოიფლო და ბარამს დაჭკრა. ბარამს ისეთი ძლიერი ლახტი არავის-
გან სცემოდა, მაგრამ უფნებლად გადაჩხა. ამ ორთა ღმერთა ძლიერი
ომი, უშანგ-მაჭას მოახსენეს: „ვითა ერთი ახლად მოწიფებელი ჭაბუკი

გმირი, ვიწრო გზის სიანხლოვეს იდგას, ჩვენსა ლაშქართა შემოურთივა, თხზმაცი ათასი მარტორქაზედ მსხდომნი ფაღვეანნი წინ წამოიყარა, მათგანნი მრავალი კაცი მოკლა და აწ ბარამ-ჯიბილი და იგი მომხებნ. თუ ხელმწიფის მოწულაება არ შეეწევა მისი ომი არც ბარამ-ჯიბილს და არც ამ ლაშქართ ძალ-უძისთა“. რა ხელმწიფემ ესე მოისმინა, არა მტირკეს მწუნარებას მიეცა და განკვირვებით ბრძანა: „ვით შეიძლება ეგ, ერთი მარტო კაცისაგან ესოდენთა ლაშქართა წინ დგომა და ბარამისაებრ ფაღვეანის ომის გასწორება. ესოდენი ხანია ბარამის ზურგი არავის უსახავს, შვიდ იულოში ომი ვერავინ გაუსწორა, ორმაცი წელიწადია იმისი წინააღმდეგი არავინ გამოჩენილა, ჯანი-ჯუნუმის ციხეში რაოდენნი სხელოვანნი ფაღვეანნი დახლცა, რომ იმ უამიღგან მისი მოწირდაწირე არავინ გამოჩენილა და აწ რა მოხდა, რომ ერთი კაცი ესოდენთა ლაშქართა წინ უდგას და ბარამს ეომება? ანუ ჩემებრ დიდის ხელმწიფისაგან ვითარ არ ეშინიან“. თვისსა ფაღვეანებს უბრძანა: „მოიჭირვკეთ, უამი არის მოხმარებისა და ომისა“. წარმოსდგნენ უოგელნი დიდებულნი და სტრატეგატნი, ხელმწიფე დალოცეს და მოახსენეს: „ჭეი! მადლო ხელმწიფეო, თუ მას კაცსა ერთი ძლიერი ძალა და ფაღვეანობა არა ჰქონდეს ამ საქმეს ვერ გაბედავდა, თუ არა ერთი კაცი ვითარ იკადრებდა ჩვენთან ბრძოლასაო, ერთი კაცი რა არის, რომ ესორენთა ლაშქართა და წარჩინებულთა ფაღვეანთა წინ უდგას და ებრძვისო! ამ სიტუვასზედ ხელმწიფე განრისხდა და ბრძანა: „აწ წახდა სახელი ჭაბუკობისა თქვენისა. თუ თქვენ არ ძალ-გიძსთ მისი ბრძოლა, მე წავაღ და ხმლითა ჩემითა გარდავსწევკეთ, ან მოვკლავ და ან შეპურობილს მოვიყვან“.

ამ სიტუვასა ზედა ვერა რომელმა ფაღვეანმა სიტუვის მოხსენება ვერ აკადრეს. რა მტირე ხანი გამოხდა, უათრან ფაღვეანი წინ წარმოსდგა, რომელიც ტახტის მიღველი ფაღვეანი იყო, ხელმწიფე დალოცა და მოახსენა: „ადიდოს დემრთმა მეუობა შენი, აწ რასაც ბრძანებთ, შემძლებელი ხართ, მაგრამ ესე არს ვედრება მონათა შენთა, რათა ჩვენ სამსახურსა თქვენსა ზედა დავიხოცნეთ და მეუობა თქვენი მშვიდობით სუფევდესო. ჩვენ ესოდენთა ფაღვეანთა რა ხელი გვეურების, თუ ერთი კაცის ომიც არ ძალ-გიძის, აწ მე გავაღ და იმ კაცს ესოდენთა ლაშქართა და ფაღვეანთა დახლცვას შევანანებ. და თუ ჩვენს ხელმწიფეს ნებაჲს ჩვენი ომის ჭვრეტა, მობრძანდეს“.



აქ ყათრანისა და ყარამანის საუბარი და ომი საშინელი და ძლიერი.

ყათრანმა მაშინვე თვისი საომარი იარაღი მოითხოვა, მსწრაფლათ მოიღეს და მძიმედ შეიჭურვა, სხვანი ფალეუანნიც დაემზადნენ, ხელმწიფეც საჭვრეტელად წაბრძნდა და იმ ალაგს მივიდნენ სადაც ყარამანსა და ბარამ-ჯიბილს ომი ჰქონდათ გაცხარებული. რა ახლოს მივიდნენ ნახეს, რომ ბარამ-ჯიბილის დასტა არეულიყო და თვისსა ალაგსა წუობით აღარ იდგნენ. ამ ლაშქარ შუა ერთი ახალ-მოწიფებული ჭაბუკი დგას, რომელიც ბრწყინვალე ვარსკვლავსა ჰტავს, ორმოცდახუთი მწერთა სიმაღლე ჰქონდა, ლახტი ხელთა ეჭურა, ბარამ და იგი ჭაბუკი საკვირველს ბრძოლაში იყვნენ, ისე რომ მნახეთავთვის საზარათ კმა იყო. რა ყარამანმა შემოხედა სხვათა მომავალთა. მაშინ ძლიერებას თვისსა მოუმატა საზარელის ხმით შესძახა და ბარამს სარტყელსა ხელი ჩაუგდო ცხენიდან აიყვანა, იგი მოედანნი ირგულივ შემოატარა და საშუალ ალაგს მიწასა ზედ დასცა, იგი ღომთა ღომი ყარამანი ცხენიდან კარდახლტა. ბარამს საგდებელი შესხნა, მისივე საგდებლით ხელ-ფეხი შეუკრა და მოედანზე დაგდო. რა სერაბ ფალეუანმა ბარამი ამ დღეში იხილა, ერთს ზღვის ნადირზედ იჯდა მოუხტა და ყარამანს თავს ერთი მძიმე ლახტი დაჰკრა, თუმცა არა სცემოდა ყარამანს ისე არად შეიმჩნია. შემდეგ სერაბს ხელი მიჭყო, მხეცი-დამ აიყვანა. თავსა შემოიფლო და მიწას ისე დასცა რომ სერაბის სახე მიწას დაჩნდა. რა სხვათა ფალეუანთა სერაბი ესრედ დაცემული ნახეს, ერთობით შემოუტოეს. მაგრამ ყარამანს ომი ვერ გაუსწორეს და სირცხვილყელნი გაბრუნდნენ. როდესაც ყარამანისა ესრეთი ძალი ნახეს, გულსა შინა ფრიადი შიში მიეცათ, ამას იტყოდენ ნეტარ რომლისა ქვეყნის ვეშანი ჩამოვარდა და ანუ ეს რა მოგვეკლინათ. რა უშანგ-ხელმწიფემ ესე საქმე იხილა, დიდად განრისხებულმან ყარამანის ომი თვითონ მოინდომა და ცხენი გაიგდო. ყათრანი რომელიც ტახტის ფალეუანთა უხუცესი იყო, მივიდა ხელმწიფის ცხენის სადავეს ხელი შესტაცა და მოახსენა: «წეი, ხელმწიფეო! ამ ახლის ჭაბუკისგან ყოველსა გაბრთხილება გვმართებსო, ჩვენნი ფალეუანნიც კი ქვეყანაზედ კაცს არ იდრიდნენ მაგრამ, ამას ომი ვერ გაუსწორეს. აწ მეც ფარვანსა ვითხოვ, რომ წარვიდე და მე შევება». ესე სიტყვა სთქვა, ხელმწიფეს გამოესდმა, შავსა ტაიჭსა შეჭდა და მოედანს საომრად გავიდა. რა ყარამანს მიუახლოვდა სალაში მისცა, მანცა შდაბლად სალაში მოსცა. ყარამანს ყათრანი დიდათ

მოეწონა. რა ფათრანმა შეხედა წარმანს, ჰირსა ხელმწიფობის სახე შე-
ატყო და გუფსა შინა სთქვა: «ცუდსა ვისმეს არა ჭკავსო». წარმანს
მას წამადინ თუ არა. მუქართით ხმა არავისთვის გაეცა, მაგრამ ფათრანი
რომ მოეწონა საუბარი დაუწყო. ფათრანმა უხასუხა: «სქეი ფაღვეანო
ვინ ხარ, რომ ესოდენსა უთვალავ ლაშქარს ებრძვი და ესოდენსა უწესო
საქმეს იქო, ვით არ იცი რომ, ბოლოს სახანუღად შეგკეპნების, უშანგ-
ხელმწიფეს ვითა ესწორებიო?». «სქეი ფაღვეანო! არ უწეი, ამა ლაშქართა
შინა ისეთი ფაღვენები არიან რომ, ყაფის მთის დევებს ადვილად ინა-
დირებენ და აწ შენ მარტო ერთმა მოლაშქრემ რა უნდა გაწყო? შენ,
შენსა გონებასა შიგან შეიგნე, თუ ამ ფაღვეანთა და ლაშქართა ომი
ვით არ საჭირო უნდა იყოს. აწ შენ წარმოვედ და ხელმწიფისა ჩვენი-
საგან შეცოდების შენდობას გიურვებ, ჩვენი მეფე შემცოდეთ მიმტყვებე-
ლია და მოწყალე, ფაღვეანთა ჰატივის მიმცემი, შენ შენი ამაუბა დაუ-
ტყვე და ხელმწიფესა ჩვენსა დაემორჩილე». რა ესე სიტყვები წარმანმა
მოისმინა, დიდად განრისხდა და გამწურაღმა ესრედ უხასუხა: «სქეი, ფა-
ღვეანო! მე არცაწავის სიტყვით მოვსუფვარ და არცაწავის რჩევით გა-
რე შევიქცევიო, ჩემი საწადელი ეს არის, რომ მიხდოვი ესე კაცთა სი-
სხლით შევდებო და ამ ლაშქართა ზხორცითა, ამ მთის ხადირთა სერი
უყოფო». რა ფათრანმა ესე გაიგონა, თუმცა შეატყო რომ ეს ფაღვეანი
სისხლის დვრით არ გაძდებოდა, თუნდა უშანგ-შაჭის ლაშქრის გარდა.
ერთი ესოდენი ლაშქარიც სხვა ფოფილიყო, იმათგან ერთიც ცოცხალი
ვერ გადაურჩებოდა, მაგრამ ომისაგან კიდე სხვა ღონე არა იყო. რა
ესე დაიდასტურა, ლახტსა ხელი მიჭყო და წარმანს შეუტია და ესრედ
შესძახა: «სქეი წარბო ვინმე აქ მოსუფო! გამიფრთხილდი რომ უჭ-
კუოსა თავსა შენსა ამ ლახტით ჭკუა მოეცემის. ლახტი დასაკრავად შე-
უმაღლა, თავსა შემოიფლო და დაგვრას უზირებდა. წარმანმაც შეატყო
რომ, ეს ფაღვეანი კარგს ვისმეს ემსგავსებოდა და თავისი ლახტი უფა-
რა, ფათრანმა მოუქნია ლახტი და წარმანს ესრედ დაჭკრა რომ, ყოველ-
მა ტანის ასომ თრთოლა დაუწყო, მაგრამ მის ხაკრავსა უფნებლად გა-
დურჩა და გუფსა შინა დიდი ქება შეასხა. ფათრანმა მეორე ლახტი შე-
დგრად დაჭკრა, წარმანს მტირე უკლდა ცხენილამ გადმოფარდნასა, მაგრამ
კარგის მხედრობით შეიმაგრა თავი და არ გადმოფარდა. მესამეც ფათ-
რანმა ისეთი ძლიერი ლახტი დაჭკრა, რომ თუმცა მთას იაღბუზისას
მოხვედროდა, ისიც დაინგრეოდა მაგრამ, წარმანმა მეტის სიმხნით და
კარგის მხედრობით არად მიიჩნია და ვერცა ეგოდენი ევნო რა. რა უშანგ
ხელმწიფემ ამისთანა ლახტისაგან წარმანის უფნებლად გადარჩენა განი-

ცადა დიდი ქება შესახებ. მობრუნდა თავისთა ფაღვეანთა და სარდალთა უბრძანა: „უათრანის ომის გამსწორებელი სხვაც უფიქრად ვინმე? (მაშინ ფაღვეანთა წესი ესრედ უფიქრად რომ, სამის ლახტის ანუ სხვა ორადის ზმარებას ერთმანეთს დაცლიდნენ). რა უათრანმა სამი ლახტი სცა, აწ რიგი უარამანს ერგო, მთის ოდენა ლახტს ხელი მიჭყო, საზარელი ხმით შესძახა და უათრანს დასჯრავად მიმართა, რა ესე იხილეს უფიქრად მისმა მხილველმა უათრანისაგან იმედი კარდაიწვევით. რა უათრანმა უარამანი თავისზე მომავალი იხილა, ღმერთს შევედრა და თავის თავი უფიქრად მიანდო—და თავისი ლახტი თავს შეიდვა, მაგრამ უარამანმა ისე შედგრად დაჭკრა რომ, უათრანს ეკონა უფიქრად ესე მთები თავს დამეჭრა, მაგრამ მის ნაკრავსა გადურჩა, სხვაც უარამანმა ორი ლახტი კიდევ სცა. მაგრამ მასაც უფიქრად გადურჩა, ამ ორთა ლომთა ერთმა შეიკრეს ეგოდენი სცეს რომ ლახტთა გაცვიფრული ცეცხლი ეთერსა ესწორებოდა, იგი ორნი ფაღვეანნი ცეცხლში დაიმაღლნენ და აღარა სჩანდნენ, უარამანი კვალად მოუხტა უათრანს, ძლიერი ლახტი დაჭკრა, თავისსა მარტორქას სადავე აღარ ასწივს, უათრანს გასცილდა და სადაც ხელმწიფის დროშა იდგა მუნამდის მიაღწივს. რა ლაშქართა უარამანისა და მისის მარტორქის ფიქრება ესმათ, შიშით მრავალნი დაიბნინდნენ, და არც მისებრი ფაღვეანი თავიანთ სიცოცხლეში ენახათ. რა უათრანი ცეცხლისაგან უფიქრად გამოვიდა. უფიქრად ღმერთს ადიდებდნენ. უარამანი უკუ მობრუნდა, უათრანს შემოუტია კვალად და ერთი ლახტი დაჭკრა. უათრანმა კარგი მხედრობით აიცილნა. მერმე უათრანს ჟამი ერგო, იმანაც რადენიმე ლახტი დაჭკრა, მაგრამ ლახტის ბრძოლით ვერაფრით გადასწვევით და დილით საღამომდის იბრძოდნენ. რა საღამოს ჟამი მოახლოვდა, უარამანი განრისხდა, უათრანს სარტყელსა ხელი მიჭყო და ცხენიდან ადებს უზირებდა. ამისმა მხილველმა უმანგ ხელეწიფემ ხმაღსა ხელი დაიდვა და ლაშქართა ერთობით შემოატევებინა. რა უარამანმა მათ ლაშქართა ერთობით შემოატევება იხილა მაშინ უათრანი აზიდა ცხენს მოაშორა, შორს გასტყონდა და თვითონ ლაშქარს შეუტია. პირველ მისულაზედ აბღუღუღას უფიქრად ფაღვეანი შემოხდა და ერთის დაკვრით მიწასთან გასწორა, მერმე იმაჰინ ფაღვეანი შემოხვდა და იგიც მსწრაფელ მოკლა. ამ ამბავში ზოგნი მრავალნი ფაღვეანნი უკან მიიქნენ და ზოგნი წინ მოესწრნენ, მაგრამ ვერა ავნეს რა, უარამანი განრისხებული, რომელსაც თითონ დაჭკრავდა იმის ნაკრავს ვერცა რომელი გაუძლებდა და მაშინვე უსულად იქნებოდნენ. რა უარამანი ამ ზღვის ოდენს ლაშქარში გაერივს, მაშინვე რისხვა ღვთისა მათ ზედ დასცა, წინა მუფი ლაშქარი უკან მოაქცია და

უკანა მდგომნი წინ. იმ ღამეს განთიადის უამაძღე. იმათ ლაშქართა ხოცვისა და სისხლის ღვრისაგან არ მოიცალა.

მრავალთა ფაღვეანთა და სარდალთა თავები მიწასზედ უხატრონათ უკანენ, თვითონაც კი ეს სახელოვანი ჭბუკი ყარაშანი რამდენსავე ალაგს ისრით დაკოდილი შეიქმნა, ჯერეთ ჭასაკით უმაწვილი იყო, ომს შიგან გამოუცდელი და უხატრონ და დიდათ დაილალა, შემდეგ მარტორქა ჯარის ნაზირს გაქუსლა და დადგა, შუბსა ზედა დაეუღა და უურება დაუწყო, მაგრამ ვის ძალ ედგა, მისს სიხლოვეს მისვლა. რა სადამოს უში შეიქმნა, მაშინ მარტორქა მთისაკენ გაიბრუნა და თავისსავე საშეოფს მიმართა. როდესაც ქვეყანა სიბნელით შავს უფსკრულს დაემსგავსა, სიბნელისა გამო ყარაშანის წასვლა მათ ლაშქართა ვერ იგრძნეს. ყარაშანი მასვე მთას მივიდა, რომელიც თავისად საშეოფად ჰქონდა, მარტორქი დამ კარდმოხდა და შესუსტებული მოსვენებას მიეცა. რა დილა გათენდა იხილა რომ თავისი ჯაჭვი და იარაღი სისხლში შეღებულიყო მთლად. წყლის ზიკს მივიდა, ჯაჭვი თუ რაც ეცვა, ტანთაგან გაიხდა წყლით და რეცხა და თავისი წყლულებიც მაგრად შეიხვია და მუნ იმყოფებოდა.

აქეთ მხარეს უშანგ ხელმწიფე თავისი ლაშქართ ერთს ადგილსა ჩამოხდა, ველსა ზედან კარაზნი დასცეს, უცხოთა ფარხებით სალაფარდანი შემოართუეს, სახელმწიფო ძვირფასი ტახტი დადგეს, ხელმწიფე მას ზედან დაბრძანდა, სარდალნი ფაღვეანნი წესისამებრ დასხდნენ, სუფრისა მოიდეს, მუტრიბნი და მგოსანნი უცხოთს რასმეს გალობდნენ და მეჭლისი გამართეს, შეექმნათ დიდი ღვინი და ღვინის სმას ხელი მიჰყვეს, ხელმწიფე გამხარულდა და უზომო ჯილდო კასცა.

შემდეგ თავისთა ფაღვეანთა და სარდალთა უბრძანა: „ჭეი, ფაღვეანო! ამ ინდოეთის გზასზედ, იმ კაციისიგან ძნელსა ფათერაკს გარდავეკიდებით. რომ ერთი მარტო კაცი მოვიდა, ესოდენთა ლაშქართა და ფაღვეანთა გზა შეუკრა. მრავალნი ფაღვეანნი და მოლაშქრენი დახოცა და თვით აგრეთვე უვნებლად წარვიდა. აწ ვინც ამ ჩვენს ამბავს სცნობს, ახლოს მყოფნი ანუ შორს მყოფნი რას იტყვიან!“

რა უშანგ-ხელმწიფემ ეს სიტყვა დასრულა, უათრანი ზეზე წარმოსდგა და მოახსენა: „ჭეი ხელმწიფეო, შვიდთა იუღიმთა მზერაბელო! სიმაღლესა თქვენსა ესრედ მოხსენდეს რომ, იგი ფაღვეანი, რომელიც ვიწრო გზის სიხლოვეს იდგა, ამ ლაშქართა გარდა თუმცა ერთი ესოდენი ჯარი კიდევ სხვა უოფილიყო, მაშინაც კი არავის მოერიდებოდს, ვერცა ვერას ავნებდნენ მას, და ვერცა თუ ცოცხალნი გადაურჩებოდნენ. ხელმწიფეო! იმ კაციისაგან უველას დიდი სიფრთხილე გვმართებს. აწ მე

წყალბახს ფითხოვ დასტური მიბოძოთ, რომ მე მას ფაღვეანს გაუდგე, იქნება ღვთით შემოვხვდუ, შევიზურა და თქვენს წინაშე წარმოვადგინო“. ხელმწიფემ ძლიერ დაუმაღლა და წასვლის ნება დართო.

ყათრანი წასასვლელად დაემზადა, თვისი საჭურველი მოაღებინა და მძიმედ შეიჭკრვა, ორმოცნი ათასნი ფაღვეანნი ცხენებზედ შესდნენ და თან იახლნენ, აიარათგან (ესე იგი გრძნეულთაგან), გარდანიქმან აიარი, შირთაზა და ასიმიც თან იახლნენ. რომელ გზაზედაც მათი ყარამანი წასულიყო, ამათაც იმის გზაზედ იარეს, ერთს მთის ძირზედ მივიდნენ, ფაღვეანნი, მუნ ჩამოხტნენ, გარდანიქმანი და ორნი მისნი აიარნი წავიდნენ, იმ მთისა ოთხავე მხარე მოვლეს და ყარამანს ეძებდნენ. ამ სიარულში ყარამანი ერთს ალაგს იხილეს. ყარამანი იმ მთაზედ ნადირობდა, ერთს ქურციკს ისარი ჰქრა, მოკლა, ცეცხლი ალაგხნო მწვადთ ალაგო და შეწვა დაუწყო.

აქ ყარამანისა და ყათრანის ერთად შეყრის ამბავი და ყარამანისაგან უმანგ-ხელმწიფის დამორჩილება და მასთან სლება.

რა გარდანიქმანმა ყარამანი დაინახა, მაშინვე თვისი ამხანაგნი ყათრანთან გაგზავნა, აკრთვე მასთან შეოფთა ფაღვეანებთან და ყარამანის ჰოვნა ანობა.

მაშინვე ფაღვეანნი შესდნენ და გარდანიქმანთან მივიდნენ. ყათრანმა უთხრა: „ჩვენ თუ ერთს დონეს რასმეს არ მოვიგონებთ, მისი ჰიჩის-ჰიჩი ომი არ შეგვიძლიან, თუ ხელაფნებით არას ვეცდებით, სხვა დონე არა არისრაო; აწ ეს მომისაზრებია და თქვენ რჩევას კკითხავთო, ვინაიდგან ბრძოლა არ ძალ-გვიძსთ, ერთობრივ უნდა ვეცადნეთ, ნუ თუ სიტყვითა მოვინადროთ; მე ვგონებ რომ ამით მისი ამავი გული მოვლბეს, ჩვენ შეგვიერთდეს და ხელმწიფესთანაც წამოკუვესო. ესე რჩევა სარდალთა და ფაღვეანთა დიდად მოეწონათ და ამ სიტყვასა ზედა ნება დართვეს. შემდეგ ყარამანისაკენ გაემართნენ. ყარამანმა მაღლა აიხედა და ნახა რომ, ცოტადენნი დაქვევითებულნი კაცნი მისკენ მივიდოდნენ, ერთობრთვ კალთა ჩამოეშვათ. (იმ ჟამათ კალთის ჩამოშვება შერიგების ნიშენი იყო), ყარამანი იმათ ომში რომ ყათრანს შემოხვდა დიდად მოეწონა და ძმობის სახელი აღუთქვა, რა ყათრანი დაინახა იცნა და მაშინვე ჭარის უმაღესად წინ მიეგება, რა ახლას მივიდნენ ყარამანმა და ყათრანმა ერთმანეთს ხელი ჩამართვეს და ჰიჩას აკოცეს. მაშინ ყარამანმა



კათრანისა და ყარაგანის გაცნობის უამი ბრძოლის უმედეგ.

შესისხა „ჭეი ფაღვეანო, ჯვალად საომრად მოგხვალთო?“ უთრანმა ზასუსხად უგო: „არა თუ სამტეროდ, არამედ მშვიდობისათვის გაიხელითო.“ ურამანმა რა ესე გაიგონა, სხვათა ფაღვეანთაც მიემშვიდობა. შემდეგ მობრუნდა უთრანს ხელი მოჭკიდა. წუაროს ზირს მიიყვანა და ერთს კეთილს ალაგს დასხდნენ, ყოველნი სარდალნი და ფაღვეანნი თან იახლნენ. ურამანმა იგი შემწვარი ნადირი მოიტანა, ფაღვეანთა და სარდალთა მით უმასმინძლა და ღიდის თავაზით ბოდიში მოითხოვა. ვინც დაჯდომის ღირსი იყო იქვე დაჯდა, და სხვანი შორად იდგნენ. აიარნი ნაჯახს დაუუდებულნი თავს ადგნენ.

რა მცირე ხანი გამოხდა ურამანმა ჭკითხა: „ჭეი ძმანო! მითხარით და გამომიცხადეთ, თქვენ ვინა ხართ ანუ რომლისა ქვეყნისანი, ესე ლაშქარი რომ შეგიურათ, რომლისა ხელმწიფისაკენ გაგილაშქრებიათო?“ უთრანმა ღიდის თავაზით მდაბლად უხასუხა: „ფაღვეანთა ფაღვეანო! ჩვენ კრანელები და თურანელები ვართ და ხელმწიფე ჩვენი უმანგ-მაჭი არის. აწ შეუემან ჩვენმან ინება ინდოეთისაკენ გალაშქვრა და მუნ მიმავალნი გზამან მისმან მუნ მოგვიყვანა, სადაც შენებრ ჭაბუკს შემოვხვდით.“ „ჭეი, ფაღვეანო, შენებრ ჭაბუკი ყოვლისა ქვეყნის ზირსა არ ვართ ნახუდით. აწ კითხვას მოვირცხვებით, მაგრამ გვებრძანოს თქვენგან, თუ რომლისა სადათვის მარგალიტი ხარ? ანუ რომლისა წაღკოტისა ვარდი?“

ურამანმა ზასუსხად მიუგო: „ჭეი, ფაღვეანო! მართალს იტყვი, მე ამ ქვეყნისა არა ვარ. მაგრამ თუმცა აღამიანთ ნათესავი ვარ: მე ამ უამადის ყაფის მთის კალთაში, ჭკითის მინდორში ვიმყოფებოდი, მუნ აღუზრდილვარ და ამ ახლო ხანში ამ ალაგას მოვადწივე.“ რა ესე სიტყვა უთრანმა გაიგონა ჭკითხა: „ჭეი! სახელოვანო ჭაბუკო, შენ არ გუუწის რომელისა გვარისა ხარ? ანუ ყაფის მთაში ვითა ჩავარდნილხარო? რა ურამანმა ესე სიტყვები მოისმინა, საზარელი სულთქმა დვიდლთავან აღმოახდინა და უხასუხა: „ფაღვეანო მე იქ დევებს სამი წლისა მიუყვანივართ. სხვა არა მახსოვს რა, მაგრამ ეს ოდენი ვიცი, რომ დევები მამისა ჩემისა დიდი მტერნი ყოფილან. ერთსა დღეს წაღკოტსა შინა მომიტაცეს და წამიყვანეს.“

უთრანი, ურამანის გვარჯახის ბიძის ძე იყო, და რა ესრედ გაიგო სიხარულით ზირი ვარდივით აუუვავდა და უთხრა: „ფაღვეანო გულისა ჩემისა უცნო საამო სიტყვას მეტყვიო; მაგრამ სახელი მამისა შენისა გახსოვს თუ არა?“ ურამანმა მიუგო, მე ესრედ ვგონებ, ვეჭობ მამაჩემს თან-მურად ეწოდა. ამას გარდა მე სხვა არა ვიცი რა. ამისა მსმენელი უთრანი ზეზე აღზდგა, ურამანს ეელს მოეხვია, აქამდის სი-

შორის ცეცხლი მოედვით, ორთავეს წყაროსაებრ თვალთაგან ცრემლინი
გარდმოედინათ და ორნივენი დაბნედას მიეწურებენ. მუნ შეოფთა ფაღუ-
ვანთა და აიართა რამ ესე იხილეს, დიდსა სიხარულსა მიეცნენ. როდე-
საც ივინი გონებას მოეგნენ გარდახვეულნი ერთმანეთს ეაღერებოდნენ.
ერთანმა უთხრა: „ჭეი, სეყვარელო ჩემო!... მე ბიძისა შენისა გვარჯ-
სანის ძე ვარ. აწ ვმადლობ ღმერთსა რამ, შენი ხილვა მედირსა“. ეს-
რამანიც უზომოდ გამხიარულებული უფაღს ადიდებდა. რა სიხარული-
საგან სასუბროდ მოცაღეს, ერთანმა მოახსენა: „მე უმანგ-ხელმწიფემ
თქვენთან წარმომგვანა და სიყვარულით მოგიკითხათ. თვალი მარადის
გზასა ზედ უჭირავს და ჩვენი მოუთმენელი მოლოდინი აქვს, თუ ინუ-
ბებ და ხელმწიფის წინაშე მობრძანდებით, დიად სასიამოვნო იქნება ჩვენ-
თვის.“ მამინ ყარამანმა კმაყოფილების დიმილით ნება დართო, ხელმწი-
ფის სამსახური თავს იდგა და ესრედ უთხრა: „ბიძისა შვილო ჩემო ერთ-
რან! როდესაც თქვენ მირჩევთ და ხელმწიფის სახსავად და სამსახურში
მეხატოებით. თქვენს სიტუვას ვერ ვეწინააღმდეგები. მეც გახსლებით. იმ
ღამეს მუნ განისვენეს და თავიანთ ამბავი ერთმანეთს უამბეს ყოველი.

რა დილა გათენდა და საწუთროსა დამამშვენებელმან მზემან ქვეყანას
თვისი ბრწყინვალე სხივი მოჰფინა, ერთანმა შირთავჯა აიარი ხელმწი-
ფესთან მხარობლად გაგზავნა. იგი გრძნებით სწრაფად წარვიდა და
უმანგ-ხელმწიფის წინაშე გამოცხადდა, ხელმწიფეს ზირი მიწას გაერთუ-
ბით თავიანთ სცა და მოახსენა: „მდაღსა ხელმწიფობას თქვენსა ესრედ
მოხსენდეს, რამ იგი მძლავრი ჭაბუკი ფაღუვანი, ერთანის ბიძის შვი-
ლი თახ-მურად ხელმწიფის ძე ყოფილა, სახელად ყარამან წოდებული.
იგი მცირე, სამის წლისა დევებს მოუტაცნიათ, უაფის მთაში წაუყვანიათ
და იქ აღზრდილა, შემდეგ აქეთ მოუყვანიათ დევებს მძინარე და მას
შემდეგ თურმე მთაში ცხოვრობს, და ეს არის თქვენს სამსახურში გახს-
ლებიან.“ რა ესე ამბავი გაიგო ხელმწიფემ, დიდად იამა და უზომოდ
გამხიარულდა. აიარს მრავალი უბოძა და ბრძანება გასცა, ვისაც ჩემი
თავი უყვარს, ყარამანს წინ მიეგებოსო. ლაშქარსა შიგან დიდი მხიარუ-
ლება შეიქმნა და მისაკებებლად მზადება იწყეს. ხელმწიფესთან ორი ათა-
სი ვეზირი და თორმეტი ათასი შინა-ყმანი დარჩნენ და სხვანი წინ მი-
საკებებლად გაემგზავრნენ. ეს მიმგებებელი რიცხვით თორმეტი ასი ათას-
ნი იყვნენ. როდესაც ამთ ყარამანი მომავალი დაინახეს, ერთობით ცხე-
ნებიდგან გარდმოხტნენ და მდაღლად სალაში ჰკადრეს. ყარამანმა ივინი
მოკითხა და ცხენებსა შესხდომა უბრძანა, შესხდნენ და ხელმწიფისაკენ
გაემართნენ. ყარამანი დიდის თავაზით და ხატოვით მიჰყვანდათ. წინ

გარდანქმეზნი და ასომ აიარნი მიუძღოდნენ, მარჯვნივ უათრანი და სხვანი თაღუგანნი, მარცხნივ ბარამ-ჯიბილი და სხელოვანნი სარდალნი. მათ შემდეგ ლაშქარნი მოვიდოდნენ. გარდანქმეზნი თავისის სწრაფის მომავლობით ესრედ გამოჩენით მიუძღოდა რომ, მისნი მხილველნი მისს სთარუტსა ინატრიდნენ. მარცხნივ ბარამ-ჯიბილი ისეთის მშვენიერის ქცევით მოვიდოდა რომ მისს მნახავს თვალის მოშორება აღარ ენებებოდა. რა უარამანმა ბარამის ესრედ ამჟღად ქცეულობა ჩასა, თავის ბიძის შვილს ჰკითხა: „ტყი თაღუგანო, ეს თაღუგანი ვინ არისო?“ უათრანმა უზასუხა: საყუარელო ძმაო ჩემო უარამან, ეს თაღუგანი სულთან ჯიბილის შვილის შვილია, სახელად ბარამ-ჯიბილს უწოდებენ. ამ თაღუგანს საკვირველი განსაცდელი მოჰქონდა, ისე რომ რამდენსამე წელიწადს ქვად ქმნილი იყო, ზეგარდამოს განგებით ეგრეთვე კაცად იქმნა. ტყი სიცოცხლის ჩემისა კავშირო, ამისი ამბავი დიდად გრძელია და აწ მოკლედ მოგახსენებ, რომელიც ეს თაღუგანი თვისისა სატრფოთი, ოცდა ოთხსა წელსა თბლისშით გაქვავებინათ, არც ზამთარს და არც ზაფხულს, სინათლე არ იცოდნენ. ამ გარდანქმეზნი აიარს, მეთაღისმე იგი შეეპურა და მისს ზირის-ზირ დაეკლა, მისი სისხლი ამ ქვად ქმნილთა სცემოდა და ეს თვისის საყვარელითურთ თვისად სულად მოსუღიუვნენ და ამა განსაცდელიდგან მორჩენილიუვნენ“. რა უარამანმა ესე მოისმინა, დიდად გაუკვირდა, უზომო ჭება შესახს და იძის ამბავს კვალად ჰკითხავდა. უათრანმა მოახსენა: თაღუგანო, მაგისი ამბავი გრძელია, თუ ჟამი დაგვეცვა ღვთით თვისსა ამბავსა თვითთულად თვითთხვე მოგახსენებს.

ამისთანა საუბრით იმ ალაგს მიახლოვდნენ, სადაც უმანგ-ხელმწიფე ბრძანდებოდა. ცალსა მხარეს უარამანისთვის უმანგ-შაჰამ მურასა სვეტიანი უცხო კარავი დადგმევინა სალაფარდანი შემოაფლეს. უოველთა დიდებულთა ოქროს ხონჩებით თვალ-მარგალიტით სავსე ხელთა ეჭირათ, წინ მიეკებენ და უარამანს თავს გადაუარეს, თაღუგანი უველამ დალოცეს და დიდი ჭება შესახს, ოთხი ათას ოთხმა ჩაუშმა, უმანგის მაგივრად უარამანი მოიკითხეს და დალოცეს, უოველ ჩაუშს ნაჯახი ხელთა ეპურათ. ამით გარდა ორი ათას ორასი აიარი, რომელნიც სიმხნით და თვალთმაქცობით ხურილიდგან გველს გამოიუვანდნენ, ესენი წინ მიეკებენ თავთავის სიმხნის საკადრისად მძიმედ მორთულნი, ვისაც როგორ ეთერებოდა, ხელთა ჯავარი ეჭირათ, უარამანს თავს გადაუარეს, დალოცეს და ჭება შესახს. ესრეთის თავაზით და ზატვიით უარამანი ხელმწიფესთან მოიუვანეს. რა უარამანმა ხელმწიფის კარავი დაინახა, მარტოარქილამ გარდამოხტა. ხელმწიფეს მოახსენეს: თაღუგანი აგერ სალაფარდასთან.

